



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

საქტემბერი
(თიშრეი)
№8 (382)
(5774)
2013

„מנורה“
עיתון יהודי
בגור

მსოფლიოს ებრაული კონგრესის წევრ საქართველოს
ებრაელობას უკულოცავთ ახალ – 5774 წელს

დაე, ეს წელი უოფილიერს მშვიდობის
და ბედნიერების მომტანი!

„ჯონთის“
წარმომადგენლობის
თანამშრომლები
ულოცავენ
საქართველოში
მცხოვრებ ებრაელებს,
ახალ – 5774 წლის
დადგომას და
უსურვებენ მშვიდობას,
ჯანმრთელობას და
ბედნიერებას!



Ronald S. Lauder
President

David de Rothschild
Chairman, Governing Board

Chella Safra
Treasurer

Robert Singer
CEO & EVP

საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა



2013 წლის 14 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ შეხვედრა გამართა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან იუვალ ფუქსთან.

შეხვედრისას განხილულ იქნა სხვადასხვა სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის აქტუალური საკითხები. მხარეებმა ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობას ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების სფეროებში, რაზეც გადანყვეტილებები მიღებულ იქნა 2013 წლის ივნისში ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს პრემიერ მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

2013 წლის 14 აგვისტო
პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი



(ბაბრქელვა. ღასაწყისი 06 „მ“ №6, 7)

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია ივსაკ ღავილი

რწმენა — ვითარც ფენომენი განუმეორებელია. მას საკუთარი სიღრმე ახასიათებს. საკუთარი სივრცეობა. უსაზღვრო რომაა, საკუთარი განფენილობა. ყოველივე მატერიალურისა და ნივთიერის რომ სცილდება. ესაა ინდივიდუალური-პიროვნული რეაქცია აბსოლუტური პირველმზების — ღვთაების მონოდებაზე: სად ხარ ადამიანო?!

რწმენის მქონე ადამიანი დინამიური პროცესის ნაწილია, იგი ადის და ჩამოდის, მალდება და ქვეითდება. არ არსებობს ადამიანი რწმენის გარეშე. თუმც კერძობით — ინდივიდუალური რწმენა ფრიად პირობითია და შეფარდებითი. იუდაიზმმა მოახერხა ისტორიულად შექმნა უნივერსალური რწმენის პასაჟები, ხასიდურმა მსოფლმხედველობამ მტერის ფარად ახადა საუკუნეობრივ საფარველს და სავსებით ახალი, გაცილებით იმედიანი პერსპექტივით წარმოადგინა რწმენის ფენომენი.

მთავარია მატერიალური. ნივთიერი შიშის დაძლევა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ ადამიანური ეგოცენტრიზმის მარწმუნებებიდან გამოსვლა. შეგნება იმის, რომ ჩვენ ნაწილი ვართ საერთო სიცოცხლისეული მდინარეებისა, რომელშიც გვრთავს ჩვესავ თავში აღმოვაჩინოთ ძალას, რომელიც ახლანდელი მოყვრობის საზღვრებს გარეთ გვიბიძგებს. განსჭვალავს ჩვენს სიცოცხლეს და მიუწვდომელს ელამუნება.

აი. სწორედ ამ მიფარულს, გაუცნობიერებულს, მიმალულის გამომჟღავნება ხდება რწმენის ექსისტენციალური ძალის საშუალებით, კარტეზიანული გამოთქმის ანალოგიით შეგვიძლია ვთქვათ: „მნამს, ნიშნავს — ვარსებობ“.

რწმენა ყველა სახის ვედრებას აღემატება, თვით ქველმოქმედებასაც კი. რწმენის ფილოსოფია — ესაა საერთოდ ჰუმანიზმის ფილოსოფია. ადამიანთშორისი კომუნიკაბელობის დაუღვეველი და უტყუარი რეზერვუარი. მხოლოდ საკუთარ თავში არსებული რწმენის საშუალებით ძალუძს ადამიანს ენდოს და დაეყრდნოს მოყვასს. შეიყვაროს იგი. აღმოაჩინოს მასში თავისივე ღვლაებრივი ნაპერწკალი.

რწმენა ვედრება როდია. ეს არა ბრძანება, ეს ნებაყოფლობითი აქტია, რომელიც ამ მხრივ მხოლოდ ქველმოქმედებასთან არის გაიგივებული. ესაა ის უპირველესი, უნივერსალური ეტალონი, რომლის მიხედვითაც ადამიანი განირჩევა მეორისაგან.

რაბი შნეურ ზალმანის ებრაულ-მისტიკური ფილოსოფია ორი ძირითადი სისტემის შეერთება-შერწყმას ცდილობს: ჰალახ-ისას, რომელიც იუდაიზმში რაციონალური კანონმდებლობით სისტემას შეადგენს, კაბალა-სთან, ანუ ებრაულ მისტიკურ მსოფლმხედველობასთან.

შნეურ ზალმანი მუდმივი ღვთაებრივი ჭეშმარიტების ძიებაშია. მისი აზრით ღვთისმსახურების ორ ძირითად პრინციპს შიში (ირაა) და სიყვარული (აჰავა) შეადგენენ. მისი ეთიკურ-ზნეობრივი მოძღვრების ქვაკუთხედს ემპიროფსიქოლოგიზმი წარმოადგენს. ავტორი ებრაული სულის რეალური ტრანსედენციის მცდელობაშია. რამდენადაც ღმერთმა განსახა ადამიანი და ამდენად ადამიანიდან ღმერთისკენ მიმავალი გზა უნდა ემყარებოდეს მაიმონისეული ღმერთის ჭეშმარიტი კონცეპტის დადგენასაც. ყოველივე ეს სასრული-

სა და უსასრულოს მჭიდრო ურთიერთკავშირსაც ითვალისწინებს. ლურიანული (არიზა ლისეული) ციმცუმ-ის საფუძველზე სასრულს უსასრულოს ტრანსცენდენტალური ნიშან-ხასიათი ენიჭება.

ბუნებაში ყოფიერების ორი საწყისია საგულისხმო — იმანენტური და ტრანსცენდენტური. ეს უკანასკნელია სწორედ ის ნამდვილი რეალობა, რომლითაც ადამიანი მალდება თავის საკუთარ შეზღუდულობებზე და ღმერთთან ამყარებს კავშირს ანუ უნიო მისტიკა-ს თორისეული ვედრებების მეშვეობით, რომელთა არსიც აღმორშნეერსონის სიტყვებით რომ ვთქვათ უსასრულოა დროსა და სივრცეშიც (იხ. მისი საფესახო წერილი. 1980)

ადამიანის ექსისტენციური არსი, მისი ნების თავისუფლება, სწორედ რწმენის ფენომენით მტკიცდება, რამდენადაც ხსენებული სულის ორი საწყისიერი ელემენტიდან — ღვთაებრივი და ცხოველური — სწორედ პირველი განაპირობებს იმ ჰარმონიას, რომელიც ხსნის ყოველგვარ დაბრკოლებას უზენაესის შენვდომის გზაზე ჩაგონიერების, მირწყმისა და შემეცნების საშუალებით.

ცოდნა — მოქმედების წყაროა ღვთაებრივი საზრისისა და ადამიანური საზრისის ურთიერთ-მიმართების ფონზე, რადგანაც გამუდმებით ინტელექტუალური პროცესის შედეგს ინტუიცია შეადგენს. ბუნება თითქოს თანამონაწილეობს ამ რეფლექსიურ პროცესში, განინმინდება მასში და ერწყმის ღვთაებრიობას. ამ მხრივ სულის (ნეშამა) ფენომენი სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად ხ-ბ-ბ-ის სისტემის მთავარ პრობლემატიკას ქმნის.

შნეურ ზალმანთან ცხოველური საწყისი სულისა მუდმივ ბრძოლა-ჭიდილში იმყოფება ისეთ საკმაოდ ნეიტრალურ მოვლენაში, როგორიცაა ადამიანის სხეული. საშუალებდო ადამიანის (ბენონი) მიზანს ხსენ. უარყოფითი ცხოველური სულის დათრგუნვა წარმოადგენს.

საკუთრივ კოსმიურ ყოფიერებას ორი წყარო გააჩნია. სინათლის ტრანსცენდენტური ფენომენი (სოვეე) და იმანენტური (მემალე).

ებრაული ცივილიზაცია, რომელიც სამხრეთ-კავკასია-შუამდინარეთის აუზიდან იწყება ძვ. წ-ით 1800-1700 წწ-ში. ისრაელური ეტაპის გამოვლით (1700-1300). იუდეურ-იუდაისტურ რეალიაში კრისტალიზდება (1300-600).

ძველი მსოფლიოს ისტორიის ქრონოლოგიაც ამ პერიოდში მოიცავს ბაბილონელთა ჰამურაბის (1800-170) ჰიქსოსებს, ეხნატონი, რამზესი (1700-1300) აშურელთა დინასტიებს (1300-600). თუ შევეცდებით ადამიანის სულის მთლიანობის იერარქიულ წარმოდგენას, ვნახავთ, რომ ეს სისტემა საკმაოდაა ლოგიკური თავის ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ-ემოციონალური თვალსაზრისით.

ნეფემ — სულის პირველადი ფიზიკურ-ფსიქოლოგიური საწყისი.

რუახ — სულის ეთიკურ-ზნეობრივი საწყისი.

ნეშამა — სულის საზრისიერი-ინტელექტუალური საწყისი.

ხაია — სულის მგრძობელობით-ემოციონალური საწყისი.

იეხიდა — სულის ღვთაებასთან შემრწყმელ-დამაკავშირებელი საწყისი.

ღმერთთან მირწყმა ხდება უკანასკნელი საფეხურის მეშვეობით, როცა სხვა დანარჩენი საფეხურები უკვე გავლილია და პოტენციალურადაა მასში მოცემული (შდრ. ბიბლ. ვეინითემ ეთ ნაფ-მოთხემ (ლევ. 23:27 რაც ნიშნავს და დათრგუნეთ — შეიწუხეთ თქვენი სულები (სულიერების ფიზიკური გაგებით)).

ბიბლიამ, ვითარც კაცობრიობის უპირველესმა და ყველაზე ადრეულმა მონოთისტურმა კომპენდიუმმა შესძლო სისტემატურად გადმოეცა ხსენებ. პროცესი, ჯერ ერთი პირველადადამიანის ცელემის

(გამოსახულება) და დემუთ-ის (სურათი) (იხ. 1:27, 5:1) წარმოჩენის სახით. მეორეც სწორედ ისეთ კოსმოგონიურ ფონზე, რომლის გეოგრაფიულ ცენტრსაც წარღვნის შემდეგ კავკასია-არარატ-შუამდინარეთის ვრცელი არეალი წარმოადგენდა.

ხსენ. მონოთეისტურმა აზროვნებამ ძვ. წ-ის ბოლო ორი ათასწლეული მოიცვა. ხმელთაშუაზღვეთ-ატლანტიდისა და შორეული აღმ-ისკენ გარკვეული ნიაღვრების ქონით. საბოლოოდ კაცობრიობის ერთმა ნაწილმა ქრისტიანობის სახით რეფორმირებული იუდაიზმი მიიღო. 1-2 სს-ში ხოლო ექვსიოდე საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა ისლამიც ქრისტიანობა გამოვლილი რეფორმირებული იუდაიზმის ბაზაზე. (ენ. სემიტ. რელიგიები).

ბიბლიაში ღვთაება თავისი ორ-მცნებითი დასახელებით წარმოდგა (ელოჰიმ მრ. „ღმერთები“) და იჰვჰ (ებრ. მარადმოყვრობის ადექვატი „ჰაია-ჰოვე-იჰიე ანუ იყო-არის-იქნება) აი, ეს ღ-ი ირწმუნება, წარღვნისშემდეგდროინდელ პერიოდში გაიხსენოს თავის პირობა „ცოცხალ სულიერებთან ყველა ხორციელში“ (შეს. 9:16) ასე გაფორმდა საბოლოო ჯამში ბიბლიურ-ღუალისტური ცნება ღ-ისა ელოჰიმ-იჰვჰ. მაშინ როცა ცნება ელოჰიმ ტეტრაგრამატონ იჰვჰ-ს ზოგადსემიტურ მატერიალურ იპოსტასს შეადგენს. (დანვრილებით ხსენ. პრობლემატიკა განხილულია ჩვენი ნაწერების მეორე ტომში. თელ-ავივი, 1980, „ღ-ის ცნების დიალექტიკური გაგებისათვის ბიბლიაში“).

შესაძლოა განვავრცოთ და ოდნავ კიდევ დავაზუსტოთ ელოჰიმ-იჰვჰ. მაშინ როცა ცნება ელოჰიმ ტეტრაგრამატონ იჰვჰ-ს ზოგადსემიტურ მატერიალურ იპოსტასს შეადგენს. (დანვრილებით ხსენ. პრობლემატიკა განხილულია ჩვენი ნაწერების მეორე ტომში, თელ-ავივი, 1980. „ღ-ის მცნების დიალექტიკური გაგებისათვის ბიბლიაში“).

შესაძლოა განვავრცოთ და ოდნავ კიდევ დავაზუსტოთ ელოჰიმ-იჰვჰ-ს დიალექტიკური ურთიერთმიმართება. თუ ელოჰიმ ვრცელ იპოსტასს წარმოადგენს იჰვჰ-სთვის, ეს უკანასკნელი უნივერსალურ დროით მარადეულობას ქმნის საზოგად-საკაცობრიობო რელიგიებისათვის.

ბიბლიური მონოთეისტური მსოფლმხედველობის მიდგომა ღ-ის მცნებისადმი, არამარტრო იყო დოგმატური, გაყინული, შედედებული აზროვნების ნაყოფი, არამედ პირიქით ეს მიდგომა გაცილებით უფრო იყო დიალექტიკური, განვითარებადი, ვინმემ სხვა დანარჩენი ფილოსოფიების შინაარსმა შეძლო ამის მოცვა.

ლიადელი შნეურ ზალმან, განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ მოვლენას. მისთვის ტეტრაგრამატონი იჰვჰ, თავისთავად მუდმივი დინამიური ცნება არ იფარგლება უკვე გადმოცემული დიალექტიკური არსით, არამედ იგი, ეს ცნება კაბალისტ-მისტიკოსის ხელში დამატებითი დიალექტიკური აზროვნების ობიექტი ხდება, ე.ი. საკუთრივ ენობრივ-გერობრივი ყალიბი იჰვჰ-სი, არ ექვემდებარება გაყინულ, დოგმატურ ფორმებს, არამედ იგი იშლება, ნაწილდება, დეზინტეგრირდება და შემდეგ ისევ იწყობა, მთლიანდება, ინტეგრირდება, ამჯერად უკვე სხვა სახით. მაგ. ვპიჰ, ჰივჰ ა.შ. ამრიგად, იჰვჰ ყოვლისმომცველ, ზოგადუნივერსალურ სინამიურ ცნებად გვევლინება, რომელიც სჭვალავს ნებისმიერ ენობრივ-ფსიქოლოგიურ პროცესს ბიბლიისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფილოსოფიური კონცეფციებისა და ტენდენციების თანახმად.

როცა ძველებრაული მონოთეისტური ცივილიზაციის წარმოშობაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში ვიდებთ იმ გარემოებას, რომ ეს მოძღვრება შეეცადა შესჭიდებოდა ისეთ საკმაოდ პრობლემატურ საკითხებს, როგორიცაა ხალხთა და ტომთა ეთნო-ლინგვისტური კლასიფიკაცია. იუდაისტუ-

ქვეყანას კვლავაც სჭირდება შიშონ პერესი 90 წლისაა



დერმა უხეშად შეუტია შიშონ პერესს, პერესმა ისეთი თავდაჭერილობა გამოავლინა, რომ ამ მასტერკლასით კიდევ ერთხელ დაანახა სამყაროს. თუ რა განსხვავებაა პოლიტიკასა და საზოგადოების, ხალხის ძალადობრივ მართვას შორის.

იგი ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პოლიტიკის მეტაბირახტრეა. არა მხოლოდ მაქებარნი, მადაგებელთა მთელი არმია ჰყავს — ბევრს არ მოსწონს ოსლოს ხელშეკრულების ერთ-ერთი ავტორის სულისკვეთება — ისრაელის მემარჯვენე პარტიების პუბლიცისტები ხშირად განაქიქებენ, იუმორითაც კი წერენ ხოლმე მასზე, მაგრამ იგი მაინც თავისი გზით მიდის.

შიშონ პერესის ცხოვრების ორ მთავარ მომენტს გაუხვამ ხაზს:

1. იგი გახლავთ ნიმუში ებრაელი ხალხის მარადიული ერთგულებისა იმ ქვეყნისადმი, რომელიც ღმერთმა უბოძა ებრაელ ხალხს — ერეც ისრაელისა. გალუთში — რუსეთის იმპერიაში დაბანდულმა ყმანვილმა ისტორიულ სამშობლოს მიაშურა და თავისი თაობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად იბრძოლა ერეც ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, აღადგინა კიდევ. მეტიც: სწორედ მისი თანამებრძოლებისა და მისი ნიჭის, ბრძოლის, გამჭრიახობის წყალობაა ის, რომ ისრაელი იქცა მძლავრ სახელმწიფოდ, იმ ქვეყნად, რომელიც მეცნიერული აზრი არ ისვენებს — მუდმივ ქმედებაშია, თელ-ავივისა და მისი შემოგარენის ქოხმახები თანამედროვე ცათამბჯენებმა შეცვალეს. იქ, სადაც ქვიშის საუფლო იყო, თანამედროვე ქალაქები გაშენდა, ასეთი ქალაქი კი ერთი და ორი როდია ისრაელში.

სახელმწიფო ხელახლა იშვა, იშვა იმისთვის, რომ იყოს მანათობელი შუქურა — დასტური იმისა, თუ რას ნიშნავს, როცა ქვეყანა გონიერ კაცთა მიერ იმართება, მაგრამ ყველაფერი ეს ერთი მხარეა ამ თაობის და მისი საუკეთესო წევრის — შიშონ პერესის მოღვაწეობისა — აღდგენილ, განახლებულ ქვეყანას ცოტა მეგობარი და ძალიან ბევრი მოშურნე მეზობელი ჰყავდა. სამშობლოს სჭიროდა დაცვა — ძლიერი, გამანადგურებელი მუშტი მტრებისათვის და ეს მრისხანე მუშტი — ისრაელის ატომური პოტენციალი — შიშონ პერესმა შექმნა. რასაკვირველია, მთავრობის მეთაური დავით ბენ-გურიონი გახლდათ და ქვეყანას იგი უძღვებოდა, მაგრამ დავით ბენ-გურიონის ბიოგრაფი — მიხაელ ბენ-ზახორი სწორედ შიშონ პერესის ღვაწლს უხვამს ხაზს.

ცნობილია ერთი ასეთი ფაქტი: დავით ბენ-გურიონი აშშ ახლადარჩეულ პრეზიდენტ ჯონ კენედის რომ შეხვდა, ახალგაზრდა პრეზიდენტმა ბენ-გურიონს შესჩივლა ძალიან ძველია აშშ პრეზიდენტობა: აქ ყოველ მესუთე კაცს ჰგონია, რომ პრეზიდენტობას შესძლებსო. ამაზე ბენ-გურიონმა თურმე ბევრი იცინა და პრეზიდენტს მიუგო ეგ რა არის: ისრაელში ყველა პოლიტიკაში ერევა და ყოველ მეორე კაცს მიაჩნია, რომ ჩემზე უკეთესი პრემიერ მინისტრი იქნებაო.

იუდაიზმის პლიურალიზმმა, მართლაც, შექმნა ასეთი თავისუფალი საპოლემიკო გარემო. ამიტომ ისრაელში ერთობ ძნელია იდგე სახელმწიფოს სათავეში — ქარი ყოველი მხრიდან უბერავს. შიშონ პერესი კი ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ სახელმწიფოს მესაჭეთა შორის დგას. დამარცხებაც არაერთხელ უგემნია, მაგრამ კვლავ ფეხზე წამომდგარა, კვლავ მესაჭეთა შორისაა.

2. შიშონ პერესი თანამედროვე მსოფლიოს გამორჩეული ინტელექტუალია. სიჭაბუკეში რუსულ პოეზიას თარგმნიდა ებრაულ ენაზე (ამას მისი თაობის ბევრი პოლიტიკოსი იქმნოდა: კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ სახელმწიფოებრიობის სათავეში არა უბრალოდ პოლიტიკოსები, დიდი ინტელექტუალები იდგნენ), ტოლსტოის შემოქმედებას, ცხოვრებას იმდენად კარგად იცნობდა, აფასებდა, ამ ათიოდე წლის წინათ იასნაია პოლიანაში ჩავიდა, რათა თავი ეცა იმ გარემოსათვის, რომელშიც ეს ბრძენ-კაცი მოღვაწეობდა. მე მომისმენია მისი მსჯელობა შოთა რუსთაველზე. იგი ამ ქართველ გენოსს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს მსოფლიო პოეზიის განვითარების ისტორიაში.

შიშონ პერესი მეგობრობდა და კვლავაც მეგობრობს ქართველ ებრაელებთან, იგი არაერთხელ ყოფილა რაფი ბარლავის — თანაპარტიელის ოჯახში, ლიბორისტული პარტიის ცეკა-ში, რომლის ლიდერიც გახლდათ. არაერთი ქართველი ებრაელი შედიოდა: ეფრაიმ გური სწორედ თინა სეფიაშვილის, მიხეილ კრიხელის და სხვათა რჩევით მოექცა შიშონ პერესის მხედველობის არეში, ეს ქართველი ებრაელი ჭაბუკი სწორედ მისი მამობრივი ზრუნვით გახდა პირველი წევრი ქნესეთისა საბჭოთა კავშირიდან ასულთა შორის.

18 ქართველი ებრაელის წერილი გაეროში შიშონ პერესმა სიონიზმის ისტორიაში დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნია.

საერთაშორისო ებრაულ საკრებულოებში არაერთხელ ვყოფილვარ მონმე, თუ როგორი ინტერესით ხვდებიან შიშონ პერესის ყოველ გამოსვლას, მაგრამ დაუვიწყარია 2003 წლის 23 ოქტომბერს მისი გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ იგი ბადრი პატარკაციშვილის მოწვევით გახლდათ თბილისში. ამ გამოსვლის ანარეკლს ჩემი ჩანაწერების წიგნში „სახეები და სიტუაციები“ მოჰყარავთ თვალს.

ებრაულები ძვირფას ადამიანს 120 წლამდე (მოსეს ასაკამდე) იცოცხლო, შესძახიან. ერთმა ებრაელმა კი ინატრა: მე არ მინდა 120 წელი სიცოცხლე, 119 წლისა გარდავიცვალო, რომ ჩემს საფლავზე წაანერო უდროოდ გარდაიცვალაო.

შიშონ პერესი ის კაცია, სწორედ 120 წლამდე რომ უნდა იცოცხლოს, რადგან მისი სიცოცხლის ყოველი დღე ხალხს, ქვეყანას წინ სწევს.

ბუჩაჩი ბათიაშვილი

„ცხოველს ისევე ესმის, ხედავს, როგორც ადამიანს. ამბობენ, ცხოველებს მეხსიერების უნარიც აქვთო. აი, მაგალითად, სპილო, მაგრამ არის ერთი ისეთი რამ, რაც არა აქვს ცხოველს და აქვს ადამიანს: ეს არის ოცნების უნარი — მომავლის ხედვა. ყოველი ჩვენგანი უნდა იყურებოდეს წინ და არა უკან“.

ეს სიტყვები ეუთოვნის დიდი ახდენილი ოცნების კაც-შიშონ პერესს, ერთ-ერთ იმ ებრაელთაგანს, რომელთაც არა მხოლოდ ოცნება, მომავლის ხედვაც აქვთ, ამ ოცნების რეალობად ქცევისათვის ნიჭი, დიდი შრომის, ბრძოლის უნარი, ინტელექტუალური მოქნილობა გამოავლინეს.

შიშონ პერესისა და მის თანამებრძოლთა ბედის განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ისინი არა მხოლოდ თავთავიანთი ადამიანური, ერის ცხრამეტსაუკუნოვანი ოცნების ასრულებისათვის იბრძოდნენ, ისტორიამ ეროვნული ოცნების ასრულებისათვის ბრძოლის მთავარ პროტაგონისტებად აქცია.

დღეს, როცა ლამის მთელ მსოფლიოში ხელისუფლების სათავეში მოსულთა — პრეზიდენტთა, პრემიერ-მინისტრთა საშუალო ასაკი 50 წელს არ აღემატება, ეს ყველაზე უხნოვანესი პოლიტიკოსი კვლავაც ახლებურად, თანამედროვე მოაზროვნედ ითვლება — ახალი თაობის პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მას მასწავლებლად მიიჩნევს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ აზრი, ინტელექტი წარმართავს სამყაროს. მოძღვარმა ამ სამი-ოთხი წლის წინათ პოლიტიკური თავდაჭერილობის, აზრიანი ქმედების მასტერკლასი ჩაუტარა მსოფლიოს პოლიტიკოსთა არმიას, როცა საერთაშორისო კონფერენციაზე ერთ-ერთი მუსლიმური სახელმწიფოს ლი-

„შორაშიმ-კავკასია-2013“ ბაკურიანში



22-31 აგვისტოს ბაკურიანში მუშაობდა ებრაული ბანაკი „შორაშიმ-კავკასია-2013“. ამ ბანაკის მიზანი გახლდათ საქართველოს და აზერბაიჯანის ებრაელთა ისტორიის, ტრადიციის, ჩვეულებათა გაცნობა, რომ ახალგაზრდობა ჩასწვდეს, დასპორის ამ ძველ კულტურას. მთავარი მიზანი: ებრაული თემების გაძლიერება, განვითარება, ეროვნული თვითინდფიკაციის აღზრდა, ებრაელი ლიდერების გამოვლენა. ეს პროექტი ხორციელდება ევრაზიის ებრაელთა კონგრესის მხარდაჭერით, რომლის აქტიური ლიდერები გახლავან იოსებ ზისელსი (ეაეკ-ის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის ვადის თავმჯდომარე, უკრაინის ეროვნული თემებისა და ებრაული კონფედერაციის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი), გერმან ზახარიაევი (ეაეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი მეცენატი, მთიელ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, მთიელ ებრაელთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „სტამევი“ პრეზიდენტი) და მარკ შაბადი (ეაეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, წარმატებული მენარმე, საზოგადო-

მოღვაწე და მეცენატი).

პროექტი „შორაშიმი“ უკრაინაში 20 წელია ხორციელდება და დადასტურდა, თუ რაოდენ საჭიროა იგი ებრაული არაფორმალურ განათლების, უკრაინის, ბელორუსის და მოლდოვის ებრაული თემების განმტკიცებისათვის.

ამ ბოლო ხანს უკრაინის „ვაადი“, როგორც ევრაზიის კონგრესის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გამოვიდა ინიციატივით გაფართოვდეს ამ პროექტის გეოგრაფიული არეალი, და დაიწყოს ზრუნვა პროექტის კავკასიაში განხორციელებისათვის, რათა საქართველოსა და აზერბაიჯანის ებრაელი ახალგაზრდობა ეზიაროს ებრაული ცოდნის წყაროს.

და აი, 22-31 აგვისტოს ბანაკმა კარი გაუღო ქართველი და აზერბაიჯანელი ებრაელი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

პროექტის განხორციელების სამზადისში აქტიურად მონაწილეობდნენ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სპეციალისტები და ვოლონტიორები ქ. თბილისის ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის პედაგოგიური და შემოქმედებითი კოლექტივი, ებრაული სააგენტოს, აზერბაიჯანის საქართველოს წარმომადგენლობა, უკრაინის „ვაადი“.

ბავშვები დილის საგანმანათლებლო ბლოკში გაეცენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ებრაული თემების მრავალმხრივ საინტერესო კულტურის, ტრადიციის თავისებურებას, ებრაული ოჯახის შექმნის თემას, აფართოვდნენ ებრაული სიმბოლიკის ცოდნის არეალს და სხვ.

სალამოს ბლოკი კი ეძღვნებოდა იმას, თუ რა როლს თამაშობს ისრაელის სახელმწიფო ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. ამ პროგრამის ფარგლებში

შემუშა-ვებული გახლდათ პროგრამები: „ისრაელის გაცნობა“, მნიშვნელოვანი პიროვნებები, „ცოცხალი რუქა“, „ისრაელი დღეს“, „დღესასწაულები“, „პატრიოტიზმი ისრაელში“, „ისრაელის თემები და სუბეთნოსები“.

ამ ბანაკში ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ განვეითარებინათ თავთავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, გაემდიდრებინათ გამოცდილება. ეს მიზანი მიიღწეოდა სხვადასხვა სტუდიებსა და წრეებში მონაწილეობით: „ივრიტი“, „სინემა“, „ფსიქოლოგია“, „მითების დამანგრეველი“, „რა, სად, როდის?“ „ფოტო წრე“, „ცურვა“, „სპორტი“.

ბავშვებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ თბილისის და ახალციხის ებრაელთა ყოფას, მონახულეს თბილისის ქართველ ებრაელთა და აშქენაზთა სინაგოგები, იყვნენ რაბათში (ახალციხე), სადაც გაეცენ ებრაულ რელიქვიებს.

ბანაკი „შორაშიმი“ დაუვიწყარი გახდა ახალგაზრდებისათვის.



რი ხასიდიზმი, არათუ არ უარყოფს არაებრაულ ადამიანურ-საკაცობრიობო ელემენტს, არამედ პირიქითაც, ცდილობს საერთო ჰუმანური გენეზის ფონზე შექმნას დადებითი პრეზუმციები, რომლებიც აახლოებენ არაებრაელთ ებრაელებთან ზოგადმსოფლმხედველობით ასპექტებში.

ბიბლია (თანახ-ი) + აპოკრიფულ-არაკანონიკური წიგნები მიანიშნებენ ე.წ. პროტო-ევერიბერიული ხალხების სემიტურ წარმოშობაზე (შეს. 10:21) და მთელი კაცობრიობის ერთ ერად და ერთ ენად ჩამოყალიბებაზე (11:1).

ბიბლია შეადგენს რა ებრაელი ერის ისტორიულ-კოლექტიურ მოგონებათა ქვაკუთხედს, ჩამოყალიბდა ვითარც კვინტენსენცია იმ ძირითადი მონოთეისტური მსოფლმხედველობისა, რომელმაც სავსებით შეცვალა კაცობრიობის სულიერი განვითარების მიმართულეები.

ერთ-ერთი პირველი პოსტულატი, რომელიც შესაქმნეს მე-17 თავში (1) იქნა წარმოდგენილი არის რწმენის თეზისი, რომელიც ემყარება თამიმ-ადიმ ან მიამიტად-ყოფნის პრინციპს, რისი საზღაურიცაა უზენაესი აპოკალიპტურ-გამოცხადებითი მოვლენითობა. „ვაიერა ელაჲ იჰვჰ“ (შეს. 26:24) მოეხილა მას იჰვჰ და ეს აპოკალიპსისი დამყარებული აქსიომატურ რწმენას, ნითელი ზოლივით გასდევს მთელ წიგნს, სხვადასხვა ფორმებსა და გარდასახვებში. მაგ. იჰვჰ ნიცავ ალაჲ (შეს. 28:13) ვაიჰქორ ელოჰიმ.. (შეს. 30:22) ელ ჰა — ნირეე ელაჲ (შეს. 35:1) ღვთაება მას რომ მოეხილა (შეს. 35:1, 35:9, ქრონ. 31:15) „... ბამარე ჰალაილა“ (46:2) ღამეულ გამოცხადებაში, ელ-შადაი ნირა ლი (48:3) ყოვლისშემძლე მომეხილა მე (შდრ. გამოსვლ. 3:2 3,16) ნირა ელეჰა იჰვჰ (გამ. 4:1) — მოგეხილა შენ იჰვჰ. „ელოჰე ჰაივრიმ ნიკრა ელენუ“ — ღ-ი ებრაელთა მოგვეცხადა ჩვენ (გამ. 5:3, 21) ვაიერა ბე-ელ შადაი, უში იჰვჰ ლო ნოდათი ლაჰემ — გამოცხადა ყოვლისშემძლეობით, ხოლო სახელი ჩემი იჰვჰ არ შემიტყობინებია მათთვის (გამ. 6:31, 14:31).

სხვაგან: „ურეთემ ეთ ქვოდ...“ — იხილავთ ღირსებას (16:7, 10)

რწმენის ფენომენი: ვაიჰი იადაჲ ემუნა... — და იყვენ ხელნი მისნი (მოშესი) რწმენა... (გამ. 17:12). იჰვჰ ეძახის, ეცხადება, ეშვება მისკენ (19:3, 18).

შნეურ ზალმანი სრული მართებულობით აფასებს მოშეს მისტიკურ-აპოკალიპტურ უნარს, ვითარც ერთადერთისას, რომელსაც შეეძლო იჰვჰ-სთან მიახლოება (24:2, 12, 16).

საკუთრივ ღვთაების აპოკალიპტური ჩვენებაც ასეა წარმოსახული „მასე ლივნათ ჰასაფირ უხეცემე ჰაშამამ ლატჰარ“ (გამოსვ. 24:10, 17) — მსგავსი საფორონის ქვაფენილისა, თვით ზეცასავით სუფთა-ანკარა“.

იჰვჰ პირისპირ ესაუბრება მოშეს (33:11, მოშე სთხოვს, მახლო ღირსება შენი... და შეგიცნო სახელით შენით (33:18), 34:5) სახე მისი ბრწყინავდა (იქვე, 34:29, 30, 35).

საკუთრივ აპოკალიპტური განცდა — შეგრძნების იდეაა გამოხატული ხ.ბ.დ.-სეული პრინციპების თანახმად შემდეგ ფრაზაში „ვაიმალე ოთო რუახ ელოჰიმ ბეხოხმა, ბითუნა უვედაათ...“ — და ალავსო იგი სულმა ღვთაებისამ სიბრძნით, გონებითა და ჭკუით (გამ.. 35:31 44:34 — 35 შდრ. ლევ., 9:46 ასევე 19:2 რიცხვ. 11:1 განსაკ., „ვაიერედ იჰვჰ... ვაიაცელ მინ ჰარუახ ამერ „ალავ“ — და ჩამოვიდა იჰვჰ... და სხივჰფინა იმ სულიდან მასზე რომ იყო (რიცხვითა 11:25. ესაა პირველი შემთხვევა, როცა ბიბლია ლაპარაკობს ცნება ჰა-აცალა)-ზე ანუ ემანაციაზე, სხვიმიფენაზე, რასაც მთელი ადრეშუასაუკუნეებრივი კაბალა და მისტიციზმი დაემყარა. მათზე ადრე კი თვით ებრაული საწინასწარმეტყველო ფენომენის უძირითადესი შემადგენელი ნაწილი გახდა, მთელი ათასწლეულის მანძილზე.

ამ ფენომენის საწყისით საწყისს ქრონოლოგიურად (ძვ. წ. 1310-1200 წწ ანუ ეგვიპტელ ფარაონთა მეცხრამეტე დინასტიის პერიოდში (სეთი 1, რამზეს მეორე, მერნეპტაჰ) სწორედ მოშეს წინასწარმეტყველება წარმოადგენდა.

ბიბლიის ემანაციური ცნება (ჰა-აცალა) მეობელი ხმელთაშუაზღვრის (კერძოდ ბერძნების) და ახლო აღმ-ის ქვეყნების ხალხებშიც გავრცელდა თავისებური ნიაღვრეებითა და მეტასტაზებით.

ტერმინი — ცნება აცილუთ მომდინარეობს ბიბლ. რიცხვთა (ბემიდბარ) წიგნიდან (11:17), სა-

დაც „აცალ“ ნიშნავს რაიმე სულიერის გადატანას ერთი საგნიდან მეორეზე, ამდენადვე „აცილუთ“ ნიშნავს ემანაციას, გამოსხივებას. (იხ. „მასეხოთ აცილუთ“).

ემანაციურ თეორიას უნდა აეხსნა შექმნის პროცესთან დაკავშირებული სიძნელებები. 1) შექმნის პროცესი გულისხმობს ასევე შემქმნელს ანუ ღ-ის ბუნების გადასხვაფერებას. 2) უსასრულო შემქმნელის მიერ სასრული შექმნილის ქმნადობას. 3) არაფრისგან რამის გაჩენას (ეხ ნიჰილო).

აცილუთ-მა შეხინა-ს ანუ საკუთრივ ღვთაებრივი განფენილობის სამყარო შეადგინა და მას სტრუქტურულად გამოეყო — განუცალკევდა სამი სამყარო: ბერია — სამყარო ტახტისა და მართებულთა სულებისა, რომელსაც აკათრიელი განაგებს. იეცირა — სამყარო წმ. ცოცხლიერთა და ანგელოსთა 10 წყებისა, მეტატრონის (ტახტს-უკან-მყოფი) გამგებლობით და ასია — სამყარო ბორბლებისა და თვლებისა (ოფანიმ), სანდალ-ფონს დაქვემდებარებული.

უფრო მეტიც, შემდგომ ათასწლეულებში არ დარჩენილა არც ერთი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი არაებრაული ფილოსოფიური მოძღვრება თუ სისტემა, ხსენებული ებრაული კონცეპტუალური ფენომენის გავლენა რომ არ განეცადოს, თვით ხსენ. ნეოპლატონისტური მიმართულებების ჩათვლით, რომელთა სპეციფიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე კაბალასა და შუასაუკუნეებრივ ებრაულ მისტიციზმთან ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ დღესაც და აკი ჩვენც ვუსვამთ ამ გარემოებას ხაზს, მხოლოდ იმ ერთი მთავარი რეზერვაციითურთ, რომ პრინციპულად ბერძნულმა და განშტოებულმა ნეოპლატონიზმმა, სწორედ ებრაული ბიბლიიდან შეისისხლხორცეს წარმმართველი მსოფლმხედველობითი ასპექტები, შესაძლოა დახვეწეს კიდევ გარკვეული თვალსაზრისებით და ხელახალი კონტაქტების შედეგად, ისევე ებრაულ კონცეფტოლოგიურ სამყაროს დაუბრუნეს კაბალ-ის სახით.

ღვთაების კონკრეტული დეფინიციაა მოცემული რიცხვთა წ-ში, აქ ის გამოცხადებულია „ელ ელოჰე ჰარუხოთ ლეხოლ ბასარ“-ად, ანუ „ყველა ძე-ხორციელის სულთა ღვთაებათა ღვთაებად“ (რიცხ., 16:22) აქ ნიშანდობლივადაა ლაპარაკი „ყველა ძეხორციელზე“, რაც მოიცავს როგორც ებრაელთა, ასევე არაებრაელთა სულებს.

ხსენებული შესანიშნავ ილუსტრაციას, ბიბლიის მიხედვით, არაებრაელ წინასწარმეტყველის ბილ'ამი-ის მაგალითი წარმოადგენს, რომელსაც ეცხადება იჰვჰ, ერვენება ხილვაში, უწყის ჭკუა ზენარისისა, სუფევს მასზე სული ღვთაებისა და ა.შ. (იხ. რიცხ., 22:9, 20 23:3, 4, 16 24:2, 16).

უფრო მეტიც ბილ'ამი თავის თავზე იმონებდა, ვითარც პიროვნებაზე, რომელიც „მახაზე შადაი იეხეზე, ნეფულ უგელუი — ენაიიმ“ — ჩვენებას ყოვლისშემძლისას იხილავს, ძირსცემულია და თვალ-ახილული (24:4).

ქრონიკებში ღ-ს მიენერება საკუთარი სიდიადის წარმოჩენა, ცეცხლიდან საუბარი, გამოსახულებას-მოკლებულობა და ა.შ. (ქრონ. 3:24, 4:12, 36, 6:4 11:1).

მამ როდისღა იწყება მონოთეისტური მისტიციზმი? — ეს კითხვა კარდინალურია და მასზე ჰასუხის გაცემა არა მარტო აუცილებელია, არამედ გარდაუვალიცაა არსებული ფილოსოფიური კონტროვერსიების ფონზე.

მოშე ვითარც ბიბლიური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ფუძემდებელი არ ყოფილა მისტიკოსი, იგი იყო ტიტანური გაქანებისა და მასშტაბის წინასწარმეტყველი და სულიერი ხელმძღვანელი.

საკუთარი ხუთნიგნულიც (ბერეშით — შესაქმნათა, შემოთ — გამოსვლათა, ვაიკრა — ლევიტელთა, ბამიდბარ — რიცხვთა და დევარიმ — ქრონიკები მან ნიშანდობლივი, ღრმად შთამბეჭდავი ფრაზითა და დამოძღვრებითი მონოდებით დაასრულა.

ჰანისთაროთ ლა-იჰვჰ ელოჰენუ, ვეჰანიგლოთ ლანუ ულევანუ 'ად 'ოლამ (იხ. ქრონ. 29:29) — „დაფარულები იჰვჰ-სია ჩვენი ღმერთისა და გამოვლენილი ჩვენთვისაა და ჩვენი შვილებისათვის საუკუნოდ“.

აი, ეს უკანასკნელი დამოძღვრითი, ვიტყვოდით ანდერძად დატოვებული წინადადება ამ უზარმაზ-

არი პიროვნებისა, რომელმაც ძვ. წ-ის მეორე ათასწლეულში გადატრიალება მოახდინა, საერთოდ კაცობრიობის სულიერ იდეოლოგიური განვითარების პროცესში. „დაფარულები იჰვჰ-სია“ აცხადებს მოშე და გულისხმობს მთელ იმ დაფარულ, მიმალულ, წარმოუჩინელ ღვთაებრივ სამყაროს, თანხლები მოვლენებითურთ, რომელთა გარკვეული თანაზიარი თვითვე გახდა, აკი |ფე-ელ-ფე| ანუ ბაგე-ბაგისპირ ესაუბრებოდა მას ღ-ი, რალა დარჩებოდა მისთვის დაფარული?

მოშე-სეული აპოკალიპსის ძალა იმდენად იყო ყოვლისმომცველი, ღრმადმწვდომი, დროთა და სივრცეთა გარშემომწერი, ფსიქოლოგიური მოძღვრება თუ ინდივიდუალური პიროვნება ვერ ამაღლდა ამ ტიტანურ პიროვნებად.

ამასთან, ვერც ერთმა მომავალმა დამწყებმა არაებრაელმა რელიგიურმა თეოსოფიამ ვერ შესძლო მისთვის გვერდის ავლა, ვერც დასავლეთ და ვერც აღმოსავლეთ ნახევარსფეროებში. მისტიციზმი ძველ ეგვიპტეში, შუმერში, აქადში, ინდოეთსა თუ ჩინეთში ისევე იყო პოლითეისტური ხვანჯრებით გაუღენთილ-დაჯირჯველული, როგორც მატერიალურ-ფეტიშური იყო მთელი მათი საზოგადოებრივ-ფორმაციული ზედნაშენი.

მოშე-სეული „ნისთარო-ლოგია“ ანუ მიფარულთმცოდნეობა, ანუ გავრცელებული ლათინური ტერმინი რომ ვიხმაროთ მისტიკა, მისტიკოლოგია. იმდენად იყო მარადიული სასწაულთქმედებითობით აღსავსე, რომ საკმარისი გახდა მომდევნო ათასწლეულებში შეესრულებინა იმ კონცეპტუალური საფუძვლის როლი, რომელზეც წარმართა მთელი ებრაული კაბალოლოგია, თავისი ქრისტიანული-ისლამური განშტოებებითურთ.

რ. შნეურ ზალმან მილიადი თავის წანარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, არა მარტო მოშეს პიროვნებას, მის სულიერ დახვეწილობას, ფილოსოფიურ სიღრმესა და გაქანებას, არამედ იმ განუმეორებელ ფენომენალობასაც, რასაც მოშესეული მოძღვრება შეადგენდა მომდევნო ებრაული თაობებისათვის.

ამრიგად, მოშესშემდგომი ეპოქებით იწყება ებრაული წინასწარმეტყველურ - ფარულთმცოდნეობითი დისციპლინებისა და მიმართულებების გრადაციული განვითარება აღმავალ-დაღმავალი პროგრესირების გზით.

ღვთაებრივი რეველაციის სიმძლავრემ ეგვიპტელ ფარაონთა მე-19 დინასტიის დროს (1310-1200 წ.წ.) ებრაულ კოლექტიურ ცნობიერებაში იმ უკიდურეს წერტილს მიაღწია, მოშეს ინდივიდუალური ინტელექტიზირების სახით, რომლის იქითაც მხოლოდ თანდათანობითი საზრისიერ-წარმოდგენითი დაღმასვლა იყო მოსალოდნელი.

მოშემ თავის „ნისთაროთ“-ში ჩააქსოვა ყველა ის შესაძლებელი და მოსალოდნელი წარმოსახვითი უნარქმედებიანობა, რასაც მომდევნო თაობათა მისტიკოსთა პლეადები უნდა შეჭიდებოდნენ.

ფრაზის მეორე ნაწილი, ნისთაროთ-ის საპირისპირო ცნებას შეიცავს - ჰანიგლოთ „წარმოჩენილი, გამოვლენილი, გაცხადებულნი“, ეს უწინაღებოდა, საერთოდ მთელს ებრაულ ეროვნულ-სულიერ გენეზისს, საერთოდ ბიბლიურ-წარატიული ქარგა ბრწყინვალედ ართმევს თავს ძირითადი ფილოსოფიური საკითხის გადმოცემასა და ანალიზს, სულისა და მატერიის ურთიერთმიმართებას, ურთიერთგანსაზღვრულობას, დიალექტიკურ დაპირისპირებას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ერთის მხრივ „ელოჰიმ-იჰვჰ-ს ბინარიზმში გამოვლინდა, მეორეს მხრივ კი, სწორედ იმ რღმად დიალექტიკურ კავშირში, რომელიც ნისთაროთ-ისა (დაფარული) და ნიგლოთ-ის (გამოვლენილი) ცნებებს შორის გამოიხატა.

ბიბლია, არა მარტო ღვთაებრივი მონოთეისტური რეველაციის მოწმენტად იქცა, არამედ მანვე დასახა მომდევნო სულიერ-მსოფლმხედველობითი გრადაციის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის ვრცელ ებრაულ მისტიკოლოგიაშიც.

მიყვებთ ხსენ. გრადაციის შემადგენელ ნაწილებს, მოშეს მონაფე და მეკვიდრე, ქანაანის განმანთავისუფლებელი და ისრაელურ ტომ-მოდგმათ შორის ქვეყნის დამანაწილებელი იეჰოშუა (ძვ. წ. 1250-1230) მოუწოდებს ერს „ბა-იჰვჰ ელოჰეხემ თიდბაკუ“ (იეჰოშ. 23:8) - მიეკარით იჰვჰ-ს ღ-ს თქვენსას“, რატომ? იმიტომ რომ ის არის ზენაარსი, ცოცხალი, წმინდა (იქვე, 2:11 3:10 24:19).

სოხნუთის ებიდით

- გვიამბეთ, პროგრამის შესახებ, როგორ გახდით მისი მონაწილე?

- პროგრამის მიზანია ებრალმა ახალგაზრდამ მიიღოს ხარისხიანი განათლება ისრაელში. საქართველოში ამ პროგრამას უკვე 15 წელია წარმატებით ახორციელებს სოხნუთი. დაახლოებით წელიდანახევრის წინ გავიგე, რომ ტარდებოდა სემინარი აღნიშნული პროგრამის შესახებ, დავესწარი სემინარს, რომელსაც ატარებდა გოგონა, მას სწავლა უკვე დამთავრებული ჰქონდა, სემინარმა და პროგრამამ ძალიან დამაინტერესა. ამის შემდეგ აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებაში, რის შემდეგაც, კიდევ მიმიწვიეს მორიგ სემინარზე სოხნუთში, შემდეგ გავირე გამოცდა, რომელიც სამაოდ რთული იყო, ასევე ფსიქოლოგიური შემოწმება, თუ რამდენად ვიყავი მზად მეცხოვრა პროგრამის ფარგლებში მშობლების გარეშე და დაახლოებით 3 თვის შემდეგ მივიღე დადებითი პასუხი, რომ მე მივდიოდი ისრაელში სასწავლებლად

- რამდენი მონაწილე ჰყავდა პროგრამას და რამდენმა მიიღო დადებითი პასუხი სწავლის თაობაზე?

- კონკურსში მონაწილეობდა 24 ბავშვი, სასწავლებლად წავედით ხუთნი, რომელთაგან სამი იყო მე-9 კლასის მოსწავლე ორი კი მე-10 კლასის.

- როგორია სწავლების ფორმა?

- სკოლა გვანდის რამდენიმე ძირითად, სავალდებულო საგანს, დანარჩენი არის არჩევითი საგნები. პირველი წელი, ეს არის მოსამზადებელი კურსით, ჩვენი ძირითადი მიზანი წელს იყო, გვესწავლა ივრითი, ინგლისური და რუსული, იმ დონეზე, რომ მომავალ წლებში შევძლოთ ამ ენებზე სხვადასხვა საგნების სწავლა. წელს გავდიოდით 7 სავალდებულო საგანს, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ენებს, მომავალ წელს გვექნება 13 სავალდებულო და 2 არჩევითი საგანი. სკოლაში 100% შეფასების სისტემა და ორ სემესტრიანი

16 წლის ბიორგი კოროპაშვილი, სოხნუთის პროგრამის ფარგლებში უკვე ერთი წელია ისრაელში ძალაში ზიხრონ იაკოვის სკოლაში სწავლობს. „მენორა“ ბიორგის პროგრამის და მისი ცხოვრების შესახებ ისაუბრა:

სწავლებაა, პირველი სემესტრი სრულდება იანვრის შუა რიცხვებში და პირდაპირ გადავდივართ მეორე სემესტრზე, რომელიც მთავრდება ივლისის ბოლოს.

- როგორია დღის განრიგი?

- დღით ვდგებით 6 საათზე, 7-ზე გვაქვს საუზმე, 8-ზე იწყება სწავლა, ძირითადი საგნები გრძელდება 1,5 საათი, არაძირითადი 45 წთ, სწავლა მთავრდება 4 საათზე, თუმცა, შუადღით გვაქვს სადილი და ერთ საათიანი შესვენება. 4 საათის შემდეგ ჩვეულებრივ ვამზადდებით დავალებებს, რასაც გვიმონებებს მადრიხი (ხელმძღვანელი), თუ ბავშვი დამოუკიდებლად ვერ ამზადებს დავალებებს და უჭირს მასალის ათვისება, ამისთვის არის დამატებითი მოსამზადებელი წრეები, რომლებიც საკმაოდ ძვირი ღირს, თუმცა პროგრამის მონაწილეებისთვის უფასოა. გვაქვს სპორტის წრეები, რომლებში მონაწილეობაც ჩვენ სურვილზეა დამოკიდებული. რაც შეეხება დასვენების დღეებს, პარასკევს ვსწავლობთ 12 საათამდე, ხოლო შაბათს ვისვენებთ.

- რამდენი ქართველი ებრაელი სწავლობს ამ სკოლაში და რომელ ქვეყნებში ხორციელდება ეს პროგრამა?

- ჩემი ჩათვლით არის სამი ქართველი ებრაელი, პროგრამა ხორციელდება დსთ ქვეყნებისთვის, გერმანიისთვის, სკოლაში გავიცანი აგრეთვე ამერიკიდან, ინგლისიდან და კანადიდან ჩამოსული ბავშვები.

- არიან თუ არა ადგილობრივი მოსწავლეები სკოლაში, თუ მხოლოდ ამ პროგრამის მონაწილე-

ბისთვისაა სკოლა?

- არა სწავლობენ ადგილობრივებიც, საცხოვრებლებში ვართ 200 - მდე ბავშვი, სკოლაში სწავლობს 700 ბავშვი, როგორც ჩემთვის ცნობილია, სწავლა წელიწადში ღირს 45000 შეგული, რაც ჩვენთვის სრულიად უფასოა, პროგრამა გვიფინანსებს სწავლებას, ცხოვრებას, კვებას, ექსკურსიებს ქალაქში, გვაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა, და წელიწადში ერთი ბილეთი მშობლებთან გასამგზავრებლად, ასევე გვენიშნება სტიპენდია.

- რა მოგწონს ყველაზე მეტად პროგრამაში და რომელი კლასიდან შეუძლიათ მსურველებს მასში მონაწილეობის მიღება?

- 9-დან 12 კლასამდე, ყველაზე მისაღებია ის, რომ ჩვენი დრო არის განაწილებული და განერული, ჩვენ არ შეგვიძლია დროის ფლანგვა. ასევე დისციპლინა, რომელიც საკმაოდ მკაცრია.

- როგორი შედეგებით დაასრულე პირველი წელი?

- წლის ბოლოს მე მივიღე სიგელი, რომლითაც სკოლა მიხდოდა მადლობას სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისთვის

- რას გვეტყვი მომავალ პროფესიაზე, რა მიმართულებით აპირებ წასვლას?

- პროგრამის ფარგლებში 12 წელს ვამთავრებ ამ სკოლაში, შემდეგ ჯარი, რომელიც გვიფინანსებს უნივერსიტეტში სწავლების ერთ წელს, როგორც ჩემთვის ცნობილია, სოხნუთი გვიფინანსებს სწავლის ორ წელს. ჩემი მომავალი პროფესია დამოკიდებულია იმაზე, თუ სად გავაგრძელებ ცხოვრებას. ისრაელში ძირითადი საქმიანობა მაინც ბიზნესია, თუმცა, ასევე ძალიან მაინტერესებს სამხედრო სამართალი, ასე ვფიქრობ დღეს, რა იქნება მომავალში, ვერ გეტყვით.

- დიდი მადლობა. გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა თამარ აბესაძე

ისრაელის ამბები

ნეთანიაჰუ ეთანხმება რეფორმებს იუდეიდან და სამარიადან გამოსვლის თაობაზე

მემარჯვენე ბანაკის წარმომადგენლებმა დააარსმუნეს პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, მიიღოს კანონი რეფორმების თაობაზე, რომელზეც გადაწყდება იუდეისა და სამარიის დატოვების საკითხი.

გაზეთ „ედოთ ახრონოთის“ კორესპოდენტები იუვალ კარნი, ტოვა ციმუკი, იტამარ აიხნერი, ცვიკა ბროტი, იუნყებიან რომ, „ლიკუდის“ - ს წარმომადგენლებმა, მათ შორის მინისტრმა, ლიმორ ლივინატიმ გააკრიტიკა შემოთავაზებული ფორმულირება რეფორმების კანონის თაობაზე, რომელშიც შედიოდა ქვეყნის მასშტაბით კენჭისყრის ჩატარება ისრაელის სუვერენული ტერიტორიის ნაწილზე (მაგალითად: გოლანის მაღლობი, ან აღმოსავლეთ იერუსალიმი) და პალესტინასთან შეთანხმება.

რეფორმების წინააღმდეგ გამოდიან: „ლიკუდი“, „ჰათნუა“ და „ისრაელ ბეთინი“. „ბეთ იეჰუდი“ და „ეში ატიდი“ რეფორმებს მხარს უჭერენ.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირებს გამოყოს დაახლოებით 400 პოლიციელი, რომ საზოგადოებრივი წესრიგი დაიცვას მომლოცველობის დროს, ხასიდე ცადიკ ნახმანის საფლავზე.

მინისტრის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკისრება ერთი მთავარი ამოცანა — დაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება ყოველწლიური რელიგიური მომლოცველობის პერიოდში - რომ ჰამანისა და მომდევნო დღეებში.

მნიშვნელოვან როლს მშვიდობიან ღონისძიებებში, რატუნიაკის თქმით, თამაშობს უკრაინის პოლიციის თანამშრომლობა ისრაელელ კოლეგებთან.

ისრაელის ამბები

აშშ მხარს უჭერს ანტიისრაელურ ნაბიჯებს ეპროკაში

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი არ აკრიტიკებს ეპროკაშირის სანქციებს ისრაელის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ყველა სახელმწიფოს ეკრძალება ითანამშრომლონ ისრაელის იმ ორგანიზაციებთან და სანარმოებთან, რომლებიც მუშაობენ აღმოსავლეთ იერუსალიმში, გოლანის მაღლობებზე, იუდეაში და სამარიაში.

იმის ნაცვლად, რომ აშშ-ს გამოეხატა მხარდაჭერა თავის მოკავშირე ისრაელთან, გამოაცხადა, რომ მათი პოზიცია მშენებლობებზე და ისრაელის დასახლებებზე, უცვლელი დარჩა.

— ჩვენ არ შეგვიძლია კანონიერად ვცნოთ ქვეყანაში მიმდინარე დასახლების გაგრძელება განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამერიკის ებრაულმა კომიტეტმა განაცხადა:

— ორ სახელმწიფოს და ორ ხალხს შორის, რომელსაც ჩვენ გულითადად ვუჭერთ მხარს, არის ის, რომ ხელი შეეწყოს ისრაელ-პალესტინის პირდაპირ მოლაპარაკებებს, ვიდრე დაისაჯოს ერთი მხარე, ამ შემთხვევაში — ისრაელი, რაც გამბედაობას აძლევს მეორე მხარეს“.

ეგვიპტის ებრაული თემის ლიდერს, სიონიზმი რასიზმად მიაჩნია

— სიონიზმი არის რასისტული მოძრაობა, — განაცხადა ეგვიპტის ებრაული თემის ახალმა ლიდერმა მაგდა გარუნმა. ინტერვიუში, რომელიც გამოაქვეყნა ადგილობრივმა დამოუკიდებელმა საინფორმაციო საიტმა — შეუძლებელია განვასხვავოთ იუდაიზმი, როგორც რელიგია, ეს არის ნაყოფი ისრაელის სახელმწიფოს იგნორირების. მისი თქმით, „როგორც ყველა მუსულმანი არ არის ალ-ქაიდას წევრი, ისე ყველა ებრაელი არ არის ისრაელიელი“.

ეგვიპტის ებრაულმა დიასპორამ აპრილში, გარუნი ერთხმად აირჩია ლიდერად მისი წინამორბედის კარმენ ვაინშტეინის გარდაცვალების შემდეგ.

— ბევრი ადამიანი ვერ ხედება, რომ მე ვეკუთვნი ჩემ ქვეყანას, დამოუკიდებლად ჩემი რელი-

ისრაელის ამბები

გიისა, - განაცხადა მაგდა ჰარუნმა. „სიონიზმი არის რასისტული მოძრაობა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანებს რელიგიის საფუძველზე. ისინი ვერ აცნობიერებენ რომ მე ვარ ერთგული ჩემი ქვეყნის და არა ისრაელის“.

„როდესაც ვინმე მეკითხება, თუ რატომ არ დავტოვე ქვეყანა, მე ამას ვაფასებ როგორც პროვოკაციას, — აცხადებს ჰარუნი, — რატომ უნდა დავტოვოთ ქვეყანა და დავინყოთ ემიგრაცია? და სად უნდა წავიდეთ? ყველა ადამიანი უნდა გადავიდეს ისრაელში? შეიძლება მუსულმანების ემიგრაცია საუდის არაბეთში?“

როდესაც მამა გარდაეცვალა, ჰარუნმა მიიწვია საფრანგეთის მთავარი რაბინი, რათა ქაიროში ებრაული წესით გაეცილებინათ მიცვალებული.

აშშ სამხედრო დაზვერვა დაადასტურა რომ რუსული რაკეტები სირიაში განადგურდა

ეს განაცხადა ამერიკულმა გაზეთმა Daily Beast, მხედვეობაში ჰყავდა სენატორები, რომლებმაც თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სააგენტოში მონაწილეობა მიიღეს საიდუმლო ბრიფინგში აშშ — ს თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სააგენტოს ანგარიშში განაცხადეს, რომ ისრაელს თავს დაესხნენ სირიის მხრიდან, ამ თვის დასაწყისში, ასევე ვერცხლდება ინფორმაცია, რომ თავდასხმის დროს რუსეთის მოქალაქე არ დაშავებულა.

საიდუმლო ბრიფინგი შედგა 16 ივლისს შეიარაღებული ძალების სენატის კომიტეტში. იგი ჩაატარა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯიმ მილერმა და აშშ-ის გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარის მოადგილე ჯეიმს ვინეფელდმა. „ისრაელის შეტაკება გვიჩვენებს: თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ სირიასთან ურთიერთობაში, კონფლიქტი სწრაფად გავრცელდება.“ განაცხადა სამხრეთ კაროლინას სენატორმა ლინდსი გრეჰემმა, რომელიც კომიტეტის წევრია — 6 თვის შემდეგ თუ მდგომარეობა არ შეიცვალა ისრაელს მოუწევს გააკეთოს მეტი და არა ნაკლები. ყოველ ჯერზე ისრაელი იძულებულია მიიღოს სამხედრო ქმედება ახლო აღმოსავლეთში - ეს არ არის კარგი.“

„დავით გვირგვინოსანი“

აკაკის აბაღა

ამასწინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა აკაკი წერეთლის „დავით გვირგვინოსანი“, რომელსაც აკაკის აბაღა უწოდეს. ვაჟაფშაველამ ამ საინტერესო გამოცემის წინასიტყვაობას.

აკაკი წერეთლის განსაკუთრებული დაბოკიდებული ებრაელების მიმართ შესანიშნავადაა გამოხატული პოეტის შემდეგ სიტყვებში: „გარდასულ ერებში ყველაზე უფო ურიები მომწონს“. „ურია“ ნიშნავს დიდს და მართალს, რომ ძველად, ოდესმე, სულიერი მკვლევარნი და კერპობის დროსვე ერთდმერთიანობის მიმდევარი, დიადი ყოფილა ურიობა. არც ერთ ერთაგანს ბიბლიისებური ჩვენთვის არა დაუტოვებია რა. იქ არა თუ „შექმნათა საკითხავი“, „მეფეთა საკითხავი“, „სანინასწერმეტყველოები“ და სხვანი შესანიშნავია, უბრალო არაკებსაც კი გენიოსობის ბეჭედი ასვიათ“ (ა. წერეთელი, თხზ. თ. 14, 1961, გვ. 551). კაკი ებრაელებს „გარდასულ ერებს“ მიაკუთვნებს. თუმცა, უკვე გასული საუკუნის პირველმა ნახევარმა პარადოქსულად შეცვალა ამ ხალხის ბედი. ბიბლიურ მიწა-წყალზე ძველი აღთქმის შემქმნელმა ერმა ძველი აღთქმის ენითა და დამწერლობით ისტორიის ახალი ფურცლის წერა დაიწყო. ადვილი წერმოსადგენია, როგორი იქნებოდა პოეტის აღტაცება ამ მოვლენას მის სიცოცხლეში რომ ჰქონოდა ადგილი. კაკის უტყუარი პოეტური ალღო ებრაულ ფენომენში ექებდა საჭირო პოეტურ სახეებსა და სიმბოლოებს, რომ საკუთარი ეროვნული პრობლემეტიკის მხატვრულ-ალეგორიული პერფორმანსისათვის მარადისობასთან წილნაყარი ექსპრესიულობა და დრამატიზმი მიენიჭებინა. უბრალო არაკებსაც კი გენიოსობის ბეჭედი ასვიათო, — შენიშნავს პოეტი და გულისყურით ისმენს „ურიების საოცარ შაირობას აბრაამზე, იოზეფზე, სოლომონზე, მოსეზე“... აღნიშნულმა ინტერესმა პოვა კიდევაც გამოხატულება აკაკის შემოქმედებაში. ქართველ „ურიათაგან“ გაგონილი ერთ-ერთი ამგვარი თქმულება პოეტმა მხატვრულად გადაამუშავა და შექმნა მცირე მოთხრობა „დავითის გვირგვინი“, რომელსაც თავად ავტორმა ქართველ ებრაელთა ლეგენდა უწოდა.

წარმომოების წყარო ტრადიციული ებრაული აგადაა (ლეგენდა). ამ ტიპის აგადები საკმაოდ ადრეული წარმოშობისაა და წარმოადგენს ბიბლიურ პერსონაჟთა ბიოგრაფიებს, საგმირო საქმეთა, ებრაული ხალხის ბედსა და მათ ინდივიდუალურ ბედში გარდამტეხ მოვლენათა ფოლკლორულ გადაამუშავებას. თხზულებაში, პირველ მეფეთა მე-17 და მე-18 თავების მიხედვით, ებრაელთა ლეგენდარული მეფის, დავით მეფისაღმუნის ზეთისცხებისა და მეფედ კურთხევის ამბავია მოთხრობილი. საულის მეფობის დროს იუდეველთა ქვეყანაში ერთი წინასწარმეტყველი ცხოვრობდა. ადამიანთა საზოგადოებას გარიდებულ განდევნის ერთ მღვიმეში დაედო ბინა. ასკეტს თითქმის არაფერი აკავშირებდა ადამიანურ ყოფასთან. მხოლოდ ეს იყო, „ათასში ერთხელ გულკეთილი სოფლელები მწყემსების ხელით მოსაკითხს უგზავნიდნენ: დაუდგამდნენ

ქვების პირად სავსე ჯამ-ჭურჭლებს და მეორე დილას, დაცლილი, უკანვე მიქონდათ“. სოფლის მოსახლეობისადმი თავის მადლიერებას წინასწარმეტყველი იმით გამოხატავდა, რომ ჭურჭელთან ერთად ხანდახან მათ „დაუხვდებოდათ ხოლმე: რალაც უცნაურად გამოკოპიტებული ხე, წელ-ქვევით გამობერილი, წელ-ზეით ჯოხის გვარი, ყელში უსწორ-მასწორო ნახვრეტებით და შიგ გაყრილ-გამოყრილი ჩხირებით, შუაზე სიგრძისად თავიდან ბოლომდე ერთი ძაფი ჰქონდა გადაჭიმული და შვიდი სხვა კი ისე ეწყო გულზე გაუბმელად“.

უბირი მწყემსები ვერ ხვდებოდნენ ამ უცნაური საჩუქრის დანიშნულებას, ნაკეთობას უხეშად ანადგურებდნენ და მასზე არსებული ძაფებისგან თხების საბმელ-ბორკილებს ამზადებდნენ. მშობელი ხალხის სიყვარულით შეპყრობილი წინასწარმეტყველი, მწერლის თქმით, თავისი ტკბილხმოვანი ჩანგით განადიდებდა ქვეყნიერების შემოქმედს, „სიმები მორჩილებით იმეორებდნენ დამკვრელის გულის-თქმას: ხან ეგვიპტურ ტყვეობას ქვითინებდნენ, ხან კიჟინასა სცემდნენ ზღვა მენამულში დანთქმულ ფარაონს, ხან უდაბნოში უგზოუკვლოდ ხეტიასს ნუნუნებდნენ და ხან, აღთქმული ქვეყნის მოპოვებით გულ-დამშვიდებულნი, ხმა ტკბილად ადიდებდნენ ყოვლის შემძლებელს“.

განდევლის უცნაურ საკრავზე აუღერებელი ეს საგალობლები, სადაც ებრაელი ერის ისტორიის ძირითადი შტრიხები ილანდება, ცხადად მიანიშნებს დავითის ფსალმუნებზე. ამ ალუზიასთან ერთად მოთხრობაში თავად დავით წინასწარმეტყველის სახე შემოდის. განდევნის ერთხელაც უცნობი ჭაბუკი მწყემსი გამოეცხადა. იგი თურმე უდაბნოში დაკარგულ თხებს ეძებდა. აღმოჩნდა, რომ ეს ყმანვილი სრულებით არ ჰგავდა სხვა მწყემსებს, მას შეუცნია ასკეტის ნაკეთობის ბუნება და დანიშნულება. ძაფები სიმებად გაუჭიმია და „უცნაურად გამოკოპიტებული ხე“ ინსტრუმენტად გაუმართავს. აკაკი აღარ აყოვნებს და აქვე გვიმხელს ამ გონიერი მწყემსი ბიჭის ვინაობას — იგი ებრაელთა მომავალი ლეგენდარული მეფე დავითია. განდევნის ალაფრთოვანებს ჭაბუკ მწყემსთან შეხვედრა. ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც საგანთა ბუნების შეცნობით დაეჯილდოვებინა შემოქმედს, მსგავსად ადამისა სამოთხის ბაღში. თანასოფლელების დარად, როდი დაღუნა ღვთაებრივი ჩანგი, და სიმები პირუტყვის საბმელად გამოიყენა — ანუ ყოფითი მოხმარების საგნად აქცია, არამედ იგრძნო, რომ ხისგან გამოთლილი ამ უცნაური ნივთიდან გადმოღვრილი ჰანგები მიდამოს გააჯერებდა, მსმენელის გულს ჩასწვებოდა, იქაურ სიმებსაც აახმიანებდა და

არის შენი სამეფო და სიმები სხვადასხვა ერი. შენ არ მიგიგრებია სიმები ერთმანეთზე, რომ მათ შუა ძაფი გაგედიდებია და გაგეხადა საბმელად!.. მხოლოდ შეგიკავშირებია ერთმანეთისათვის შეუცვლელედ თავ-თავისი საკუთარი ხმით და სიდიდით! შეგიხმატკბილებია ერთ ჰანგად და მოგინადირებია სამწყემსო. მწყემსე სამეფოცა შენი მაგვარად და ჯდე საყდარსა ზედა უკუნისამდე“, — მიმართავს წინასწარმეტყველი დავითს. მოთხრობის ეს საკვანძო პასაჟი აკაკის მხატვრულ წარმოსახვაში პოეტურ სახედ დაინურება და აურერდება მშვენიერ სიმღერად, რომელიც მთელს საქართველოს მოეფინება:

„ჩონგურს სიმები გაუბი, მოვმართე ნელა-ნელაო; შევუხმატკბილე ერთმანეთს: ოდელა-დელა-დელაო!“

... „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრები: ოდელა-დელა-დელაო!“

ამგვარად, ტკბილხმოვანი ჩანგის ბიბლიური ალუზია პოეტის შემოქმედებაში ორმაგ „ტრანსფერად“ წარმოგვიდგება: იგი ჯერ აკაკისეულ ებრაულ ლეგენდაში პოეებს ასახვას და შემდგომ პოეტის ორიგინალურ წარმოებში ინკრუსტირდება. პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი შენიშნავს, რომ დამომხმებულ სიტყვებში არა მარტო ებრაელი ხალხის ლეგენდარული მეფის უდიდესი სახელმწიფოებრივი დამსახურების წინასწარმეტყველური ხაზგასმია მოცემული, არამედ იმ ეროვნული მიზანსწრაფვის უმთავრესი კონტურებიც იკვეთება სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით, რომელიც ა. წერეთლის მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძველთა საფუძვლად იყო ქცეული. აქვე გვსურს ერთ ნიშანდობლივ დეტალზე მივუთითოთ: აკაკის წარმოდგენილი მოთხრობა და მისი პოემა „ნათელა“, რომლის მთავარი პერსონაჟის, ნათელას, სიმღერიდანაა სწორედ ზემოთ მოყვანილი სტროფები, დაინერა ერთსა და იმავე პერიოდში — 1897 წელს. ეს ფაქტი თავისთავად ამტკიცებს ჩვენს მიერ აღნიშნულ წარმოებებს შორის გავლებული პარალელის რეალური საფუძვლის არსებობას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **გურამ ლორთქიფანიძე**

პროფესორი **მამუკა ბუცხრიკიძე**

ეპრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

2013 წლის 8 სექტემბრიდან იწვევს 6-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებს მონაწილეობის მისაღებად პროგრამაში „ათიკვა“ (დამატებითი სასკოლო განათლება)

პროგრამის მიზანია საგანმანათლებლო სტატუსისა და მოზარდთა განვითარების დონის ამაღლება.

- პროგრამაშია:
- მათემატიკა
 - ქიმია
 - რუსული ენა
 - ინგლისური ენა
 - ივრითი
 - ხატვა
 - კომპიუტერული კურსები
 - სპორტული ცეკვა
 - ექსკურსიები
 - კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, როგორცაა თეატრი, ცირკი, მუზეუმი, ზოოპარკი

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი პროგრამის მონაწილეებისთვის ორგანიზებას უცხობს საზაფხულო და საზამთრო საოჯახო ბანაკებს და შაბათონიმებს.

გათვალისწინებულია კვება **KOSHER STYLE**. პროგრამა ფუნქციონირებს კვირაობით 11-დან 15 სთ-მდე

ცნობებისათვის მიმართეთ: ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ. საკონტაქტო ტელეფონები: 2157035, 2770653

ეპრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

აცხადებს მიღებას საგანმანათლებლო პროგრამებზე

- ივრითი
- ინგლისური ენა
- კომპიუტერული კურსები
- ფიტნესი
- ჰიპ-ჰოპი
- ხელსაქმე.
- მოდელირება და დიზაინი
- ფოტოსტუდია – იური მეჩითოვის ხელმძღვანელობით
- ვოკალის სტუდია – კონსერვატორიის პროფესორის ვილი გრიგორიანის ხელმძღვანელობით
- ლათინო-ამერიკული ცეკვები
- ხატვა
- თეატრალური სტუდია
- ებრაული სახალხო უნივერსიტეტი
- ებრაული სიმბოლიკა და ტრადიციები

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი პროგრამის მონაწილეებისთვის ორგანიზებას უცხობს საზაფხულო და საზამთრო საოჯახო ბანაკებს და შაბათონიმებს.

რას ვკითხვართ უკვე ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი აბიშაი ბათაშვილი



ის მეფის ერთადერთი ვაჟი იყო, ჭკვიანი და ცნობისმოყვარე, რომელსაც ყოველი სიბრძნის სწავლა და სახელმწიფოში მცხოვრები მრავალი ადამიანის გაცნობა სურდა. მეფემ ის ვერცხლითა და თქრითი აღჭურვა და სამეფოს შემოსავლელად გაუზავნა.

მაგრამ ვაჟიშვილი უმეცარ გლეხებს დაუ-მეგობრდა, თავამეგობრულ და ამათ ცნობებში ჩაუფლო და მთელი ფული გაფლანგა, ისე, რომ შიშველ-ტიტველი და ცარიელ-ტარიელი და-რჩა. ძალიან დამწუხრდა, გადაწყვიტა შამაშისთან დაბრუნებულიყო და თავისი ქმედებების გამო შენდობა და პატიება ეთხოვა.

და მართლაც, შესძლო მეფის ვაჟიშვილმა მეფის კარამდე მიღწევა, მაგრამ წლების განმავლობაში ისე შეიცვალა, რომ კაციშვილმა ვეღარ იცნო დაკარგული უფლისწული. ამის გარდა, ის განსაკუთრებული ენაც დაავიწყდა, რომელ ენა-ზეც სამეფო სასახლეში ლაპარაკობდნენ და ვერც კარისკაცებთან დალაპარაკება შესძლო.

გულდაშლურებულმა ვაჟიშვილმა ტირილი და ნმაძალა ყვირილი დაიწყო - გულის სიღრმეიდან ამოსული უსიტყვო ყვირილი. უცებ მეფეს თავი-სი ვაჟიშვილის ხმა შემოესმა! მის შესაგებებლად


გამოვიდა, გადაეხვია, გადაოცნა და სასახლეში შეიყვანა. ეს არის ბაბლ შემ ტოვის იგავი შოფარის ჩაბერვის არსზე.

მეფე - კურთხეული უფალია, ვაჟიშვილი - ჩვენ ვართ. კურთხეულმა უფალმა მოგვავლინა ამქვეყნად, რათა თორა და მიცვები შევარსულოთ და აღვხედეთ. მაგრამ ხდება, რომ ჩვენ ჭკუშარიტებას იმდენად ვმორდებით, რომ „ენაც“ კი გვაავიწყდება, სამუალებს, რომლის მიხედვითაც უფლის წინაშე უნდა ვილოცოთ. მაშინ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, უბრალოდ გავყვირით.

ეს არის რომ ჰამანაში შოფარის ჩაბერვის მნიშვნელობა - ღრმა და შინაგანი ყვირილი, რაც ჩვენდამი უფლის მოწყალებას აღძრავს და ამის წყალობით უფალი ღმერთი ახლიდან გამოამუდგანებს თავისი ხალხისადმი სიყვარულს და შეგვინდობს და გვაბატებს ყოველივეს, რაც ჩავიდინეთ.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ჩვენგანი - მამაკაცები, ქალები, ბავშვები, მოვიდეთ შოფარის მოსახმენად და მისი წყალობით კურთხეული გამჩენი მოვცემს კარგ და ტკბილ წესს და დავ-ვწერს და დავგებქდავს კარგ საწერელზე. ამენ!

რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ეხაედი თემა ქართულ მწიგნობარში

აბრაული თემა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში

(წერილი მაცაბეძე)

საწყისის ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან.

არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ებრაელი ხალხის ეს უდიდესი და მარად დაუცხრომელი ეროვნული ტკივილი ქართველებზე უფრო დიდი ადამიანური თანაგრძობითა და ჭირმოზიარეობით იშვიათად თუ გამოუხატავს ვინმეს. ასე რომ, საკუთარი სამშობლოს დაქცევა-გაპარტახების გამო საუკუნეთა მანძილზე მწარედ აგოდებული ებრაელების ცრემლთა უწყვეტ ნაკადს ქართველი კაცის თვალთაგან დანადენი თანადგომის ცრემლიც მატებდა ძალასა და ხშირებას.

ნათქვამის დასტურად აქიროდიონ ევდოშვილის (1873-1916 წწ.) შემოქმედების გახსენებაც იქნება საკმარისი. მაგალითად, 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატების 42-ე ნომერში დაბეჭდილ ლექსში - „ტირილი ებრაელი-სა“ პოეტმა ებრაელი ხალხის ტრაგიკული ისტორიის უმთავრესი მომენტების გახსენებით მკითხველი კიდევ ერთხელ გახადა იმ დიდი ეროვნული ტკივილის თანამონაწილე, რომელიც ყველა დროისა და ეპოქის ებრაელობისათვის მარადიული გლოვისა და ნუხილის საგანადაა ქცეული. ი. ევდოშვილის ლექსის ემოციურ სიმძაფრესა და გულწრფელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ებრაელი ხალხის ეს დიდი ეროვნული ტკივილი ნაწარმოებში თავად ებრაელთა მიერაა მოთხრობილი. ისინი ცრემლიანი ხმით ყვებიან მათი ცხოვრების ბედისწერად ქცეულ იმ მოვლენებზე, რომელთაც საუკუნეთა წინათ მშობლიური მიწიდან ბარბაროსულად განდევნილი ებრაელობა უსამშობლოდ დატოვებს და ქვეყნიდან ქვეყანაში მოხეტიალე ხალხად აქციებს.

ებრაელი ხალხის ტრაგიკული ისტორიული ხვედრის ამგვარი გააზრება სულიერ პეისიზმად კი არ გარდაიქმნება, არამედ, პირიქით, ეროვნული თვითშეგნებისა და საბრძოლო სულისკვეთების კიდევ უფრო მეტად განმამტკიცებელ იმ ძალად იქცევა, რომელმაც ოცდაექვსი საუკუნის წინათ მშობლიური მიწიდან აყრილ და გამოდევნილ ერს კვლავ უნდა დაუბრუნოს ძველი დიდება და სახელმწიფოებრივი ძლიერება.

ებრაელი ხალხის ისტორიიდან ქართველი მწერლები ყველაზე ხშირად იმ ტრაგედიას იხსენებენ, რის შედეგადაც ბაბილონელების მიერ აკლებული ებრაული სახელმწიფო ნანგრევებად იქცა, წინაპართა ფუძიდან აყრილი ებრაელი ერი კი ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში დარჩა უსამშობლოდ. ქართული მწერლობის ბევრი წარმომადგენელი ამ ტრაგიკულ მოვლენას ღვიძლი ეროვნული ტკივილივით განიცდის. მაგალითად, ს. შანშიაშვილის „ფსალმუნის“ (1908 წ.) ნაკითხვით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მდინარე ბაბილონის პირას სამშობლოს ტრაგიკული ბედის გამო მწარედ აგოდებულ ებრაელთა შორის თავად პოეტიც იჯდეს და დასტიროდეს ებრაული სახელმწიფოს დასაზარებას:

ბაბილონისა მდინარის კიდეს მწარედ ვსტიროდით სევდით მოცული, რა ჟამს სიონი ჩვენ მოვისხენეთ დამცირებული, ახრებულნი!.. მუნ არ ისმოდა ხმა საკრავისა, ძენზე დავკიდეთ საგალობელი, რამეთუ წმინდა უფლის გალობით არ დამტკბარიყო ჩვენთ წარმტყვეველნი!

ლექსში გამოხატულ ტკივილს მეტ სიმძაფრეს სძენს ყოველი ჭკუშარიტი ებრაელის მიერ მარადიული ერთგულების ფიცად ქცეული იმ სიტყვების პოეტიზება, რომელთა შემვლებითაც ისინი მათი ეროვნული თვითმყოფადობის საფუძვლად ქცეულ უწმინდეს ქალაქს - იერუსალიმს სიყვარულსა და ერთგულებას უდასტურებენ.

როგორც ცნობილია, 1928 წლის 10 მაისს ქუთაისის ებრაელთა უბანში გაჩენილმა ხანძარმა ასეულობით ადამიანი დატოვა უსახლკაროდ. ხელისუფლების მიერ შედგენილი კომისიის დასკვნით, ამ ხანძრის შედეგად ქუთაისში 280 სახლი დაინვა.

ამ სამწუხარო მოვლენამ, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, მხატვრულ ლიტერატურაშიც პოვა სათანადო ასახვა. კერძოდ, ქუთაისის ხანძრის შედეგად ებრაელებისათვის თავსდატეხილი უბედურების ამსახველ ნაწარმოებთაგან მკითხველს მინდა შევახსენო პაოლო იაშვილის, გერცელ ბააზოვისა და იმ პერიოდში მოღვაწე სხვა მწერალთა ნაწარმოებები. დასახელებულ ავტორთაგან პაოლო იაშვილი (1892-1937 წწ.) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც აღნიშნულ მოვლენას პოეტური სიტყვით გამოეხმაურა. მხედველობაში მაქვს ლექსი „ქუთაისის ხანძარი“ (1928 წ.), რომელშიც პოეტი უღრმად უსახლკაროდ დარჩენილი ხუთი ათასი ებრაელის უმძიმესი მდგომარეობის გამო. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმომწებ ფრაგმენტს ლექსიდან:

მესმის ზრიალი ებრაელების, მთელი გოდება ხანძრიან ქარში; ათრთოლებული მათი ხელები გამოეთხოვა ფართალს და არშინს.

ებრაელებისათვის თავსდატეხილ ამ უბედურებას პ. იაშვილი საქვეყნო ტრაგედიად მიიჩნევს და არა მხოლოდ უბრალო თანაგრძობას უცხადებს მის ებრაელ თანამემამულეებს, არამედ იმასაც დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ მათი მწუხარება მთელი ჩვენი საზოგადოებისთვისაც წილხვდომილი ტკივილი იყო.

ებრაელთა უბანში მომხდარ ხანძარს გალაკტიონ ტაბიძეც (1891-1959 წწ.) გამოეხმაურებია იმავე წელს დაწერილი ლექსით „ცეცხლი ქუთაისში“. მართალია, პოეტს მასში ამ ტრაგიკული მოვლენის დეტალები დაკონკრეტებული არა აქვს, მაგრამ მკითხველისათვის მინც აშკარად ნათელი ხდება მის ფაქტი, რომ ხსენებული ნაწარმოები სწორედ ებრაელთა დასახლებაში დატრიალებული უბედური შემთხვევისადმია მიძღვნილი.



„სამბატიონი“ საქართველოში

შემოქმედებითი იუდაიკის ამხანაგობა „სამბატიონ-მა“, მეცნიერ-მუშაკთა და უმაღლეს სასწავლებლებში იუდაიკის მასწავლებელთა ცენტრმა „სეფერი“, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ებრაულ სააგენტო „სოხნუთის“ საქართველოს წარმომადგენლობასთან ერთად გამართა აკადემიური შემეცნებითი ბანაკი.

ბანაკი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათი დღე — 18-28 აგვისტოს მუშაობდა. მასში მონაწილეობდნენ მხატვრები, კინომატოგრაფისტები, მუსიკოსები, მეცნიერები ისრაელიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, რუსეთიდან, უკრაინიდან.

ესენი საქართველოში იმისათვის შეიყარნენ, რომ გაიცნონ ქართული, ებრაული კულტურა და იფიქრონ ჩვენი დროის რენესანსზე.

ბანაკის ჩარჩოებში ოთხი შემოქმედებითი ექსპედიცია მუშაობდა:

„არგონავტები, ანუ სრულიად საიდუმლო ენის ძიება“ (ფილოსოფია, ლინგვისტიკა).

„ბნელეთის მთების მიღმა. საიდუმლოცოდნეობის სკოლა (მისტიკა, აზრის ისტორია, ანთროპოლოგია)“.

„ხელოვნების ახალი სამყარო“ („ხელოვნებათმცოდნეობა“).

„კიდობანი. უძველეს ქეშმარიტბათა შემგროვებელი“ (ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია).

ყოველი ჯგუფი სხვადასხვა რეგიონში გაემგზავრა და შეეცადა გაეაზრებინა ადამიანის როლი თანამედროვე სამყაროში, ქართული და ებრაული ხელოვნება, რომლებიც უძველეს და თანამედროვე გადმოცემებს ეყრდნობა.

ბანაკის ერთ-ერთი რეზულტატი გახლდათ 26 აგვისტოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული ფესტივალი. წარმოდგენილი იყო ბანაკის მონაწილეთა და პედაგოგთა შემოქმედებითი და სამეცნიერო ნაღვანი.

26 აგვისტოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ფესტივალზე იყო ლექციები საქართველოს ებრაელობაზე, ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია, სასკოლო და სტუდენტური მინი-კონფერენცია, ბანაკის მხატვარ-პედაგოგთა: მიხეილ იახილევიჩის, ელა ბიშვესკაიას, ალინა როზის, ანა პალანკერის (იერუსალიმი), ესთერ შნაიდერის (თელ-ავივი), ფაინა კრემერმანის (პარიზი) ნამუშევრები.

ასევე წარმოდგენილი იყო მუსიკალური სპექტაკლი და ბანაკის გადამღები ჯგუფის ნაღვანი.

საერთო ყურადღება მიიქცია მეოცე საუკუნის დასაწყისის გენიალური ებრაელი კომპოზიტორების იოსიფ ახრონის და ლაზარ სამინსკის მივნიწყებულმა მუსიკამ (მომღერალი შირილ დაშვესკაია, მკვლევარი დავით ბენ-გერმონი (იერუსალიმი), კონცერტ-მეისტერი ნატალია კასპაროვა (მოსკოვი).

გამართა გამოფენა „ისრაელი საქართველოში“. აქ წარმოდგენილი იყო ბანაკის პედაგოგთა ნამუშევრები.

„ეიხას“

ებრაული კლასიკური მემკვიდრეობა მუდამ იყო ლიტერატურით დაინტერესებულთა ყურადღების ცენტრში. ამათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ირმიაჰუ წინასწარმეტყველის, ანუ იერემიას „ეიხას“. ქართულ ენაზე არსებობს ამ ნაწარმოების ორი თარგმანი – ნისან ბაბალიკაშვილისა და გერშონ ბენ-ორენისა, მაგრამ „ეიხას“ ისეთი თხზულებაა, მთარგმნელთა მუზას ანდამატივით რომ იზიდავს.

ამჯერად ამ კლასიკურ ქმნილებას ნიუ-იორკში მცხოვრებმა ისაკ (ირაკლი) კრიხელმა შეჰბედა.

გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: „წინამდებარე ნაშრომი იერემიაჰუ წინასწარმეტყველის აკრო-ელეგიის – „ეიხას“ თეთრ ლექსად წარმოდგენის მცდელობაა ნისან ბაბალიკაშვილისა და გერშონ ბენ-ორენის (წინუაშვილის) თარგმანის მეშვეობით“.

აქვე მთარგმნელი განეული დახმარებისათვის მადლობას უხდის თ. მამისთვალის, ო. სეფიაშვილს და ნ. პარლაგაშვილს.

გვსურს მკითხველს ჭაშნიკის სახით შევთავაზოთ რამდენიმე სტროფი ი. კრიხელისა.

1. როგორ ეულად დარჩა ქალაქი, მუდამ ესოდენ ხალხმრავალი – ქვრივად ზის ახლა. ერებში ასე სახელგანთქმული და მხარეთა დედოფალი – ხარკს იხდის თავად.


2. ტირილით ათევს იგი ღამეებს, მოთქვამს ჩუმიად, გულამომჯდარი; ღანვები მისი ცრემლს დაუფარავს. ნუგეშისმცემიც აღარავინ ჰყავს მოყვარეთაგან. ყველამ გაყიდა. მეგობრები მტრებად გაუხდნენ.

3. იეჰუდა გადაიხვეწა – ტანჯული და დამონებული დაბინადრდა უყცხოთა შორის. მოსვენება ვერ უპოვია, – წამოენია ვინოებში ყველა მდეგარი.

4. ციონის გზები დამწუხრებულან – არავინ მოდის დღესასწაულზე. დაცარიელდა მისი ჭიშკრები. მამამთავარი მისი კვნესიან და ქალწულები სევდამ შეიპყრო, გოდებს ციონი.

5. მეტოქეები თავში მოექცნენ. ზარ-ზეიმი გააქეთ მტარვალებს, – რადგან უფალმა დასაჯა იგი ბევრი ცოდვისთვის, მტერი ბავშვებს ტყვეობაში მიერეკება.

6. ჩამოაღამდა ციონის ასულს დიდება თვისი. მისი თავადნი – ვით ქურციკნი, საძოვარს რომ ველარ მიაგნეს – ღონემიხდლნი ეხეტებიან



მდევნელთა თვალნი.

7. ამ ტანჯვისა და გვემის დღეებში ნეტარი ჟამი ახსენდება იერუსალიმს, – რაც რომ წარსულში განუცდია, – განძი ურიცხვი. ახლა კი – ხალხი მისი მტრის ხელმა დასცა, აღარავინ ჰყავს შემშველელი. მტერი უყურებს და დასცინის მის დამცირებას.

8. დიდად შესცოდა წმინდა ქალაქმა – ასე იმიტომ გაუნმინდურდა. ათვალწუნა ყველა მისმა მადიდებელმა – რაკი იხილეს მისი სიძიმე. თავდაც ოხრავს და უკან იხევს.

9. კალთანაბილწულს მთლად აერთვა განსჯის უნარი; თავგამეტებით დაენარცხა, – გონარეული. არა, ამ დღეში მას ვერავინ ვერ ანუგეშებს. ნახე, უფალო, ტანჯვა ჩემი, მტერი რომ მშატებს!

10. ყველა საუნჯეს მომხედურთ ხელი ნაეპოტინა. შენს წმინდა ტაძარს შემოადგნენ უცხო ტომები, რომლებზეც ბრძანე – არ მოსულიყვნენ შენი ხალხის შესაკრებელში.

11. ოხრავს და გმინავს ერი შენი – პურის მძებნელი, საჭმელში ცვლიან ძვირფას ნივთებს – სული მოითქვან. მომხედე, ღმერთო, დამინახე – როგორ დავეცი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ამირან მიხელაშვილი, შვილები: დოდო მოშიაშვილი, მზია აჯიაშვილი, მამუკა და ლოვა მიხელაშვილები ოჯახებით, შვილიშვილები: მარიკა, მაიკო, თინიკო, თამუნა, მარიშკა, ნაზო და ისაკი, მოყვრები, რძლები, სიძეები, შვილთაშვილები დიდი მწუხარებით იუნყებიან საყვარელი მეუღლის, დედის, ბებუის



ნაზი იოსების ასული მიხელაშვილის უდროოდ გარდაცვალებას.

შვილი მზია აჯიაშვილი, სიძე ნუგზარ აჯიაშვილი, რძალი ირინა მოშიაშვილი და შვილთაშვილი ირაკლი აჯიაშვილი ღრმად მწუხარებით იუნყებიან საყვარელი დედის და ბებუის

ნაზი იოსების ასული მიხელაშვილის გარდაცვალების შესახებ.

შვილიშვილი თინიკო აჯიაშვილი, სიძე ბესიკ გორელაშვილი, შვილთაშვილები: ოთო და ლიზა გორელაშვილები იუნყებიან საყვარელი ბებუის, **ნაზი იოსების ასული მიხელაშვილის** გარდაცვალებას.

ილია, მურთაზი და ირაკლი მიხელაშვილები ოჯახებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა **ნაზი იოსების ასული მიხელაშვილი** და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ილო, ნათელა, ნინო, დავით, გია წინუაშვილები, ლეილა, თემურ გაგულაშვილები, ოჯახებით გამოთქვამენ ღრმა გულისტკივილს **ნაზი ელაშვილი-მიხელაშვილის** გარდაცვალების გამო.

ციალა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, ლანა, გურამ ხარაზები, რობერტ მიხელაშვილი გამოხატავენ ღრმა გულისტკივილს ჩინებული ებრაელი ქალბატონის **ნაზი იოსების ასული ელაშვილი-მიხელაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და ძმებს.

დაფუჟანგაქანი და
გამომცემი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმიდის
რაიონის სასამართლოს
შიპრ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16
8-557
9771987898003